037 | 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალეიდოსკოპი



პიონერი

წელიწადი მეთოთხმეტე

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

სექტემბერი 1937 წ. № 9

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გ. მომც.—„კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: ტფილისი, გრიბოიედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	პროფ. ე. ტარლე—რიეგო	1
2.	თ. შანშიაშვილი—ქურდი ჩოფურა	4
3.	ს. ჟღენტი—ვაზი (ლექსი)	7
4.	„მოწაფეთა გმირობა, ფრიადზე სწავლაა“ (მოწაფეთა წერილები)	8
5.	ლ. ჯიჯინაძე—სკოლისაკენ	10
6.	გ. ნოზაძე—კოლმეურნე ლელი (ლექსი)	11
7.	არჩ. დავთიანი—1812 წელი რუსეთში (ბორორდინოს ბრძოლები)	12
8.	დ. თურდოსპირელი—თემოს სიზმარი	14
9.	ვლ. კახიანი—მარტორქა	16
10.	რ. ძოწრძია—სხარტული სიტყვები	გარეკანის მე-3 გვ.
11.	გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

პროფ. ე. ტარლე

ეროვნული ბიბლიოთეკა



რიეგო

რიეგოს სიკვდილი*

2021

იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე რიეგო ტყვედ იყო, მისდა საბედნიეროდ, ბევრი ახალი ამბავი დატრიალდა, რომლების გათვალისწინებაც არავის შეეძლო.

ნაპოლეონმა რუსეთს შეუტია, მოსკოვს მიაშურა. ეს იყო ნაპოლეონის იმპერიის დაღუპვის დასაწყისი. მოსკოვი დაიწვა. საფრანგეთის არმიამ უკან დაიხია. მთელი ევროპა აღდგა, და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაეცა ნაპოლეონი. ფრანგებმა დატოვეს ესპანეთი და მის ტახტზე დაბრუნდა ტყვე მეფე ფერდინანდ VII.

იგი 1814 წლის 12 მაისს შევიდა მადრიდში. რიეგო პირველ ხანებში ზეიმებოდა. ტყვეობიდან განთავისუფლებული, იგიც დაბრუნდა სამშობლოში. ნაპოლეონი აღარაა, ფრანგები აღარ არიან, თითქოს ყველაფერი რიგზეა.

მაგრამ რიეგომ მალე დაინახა, რომ ყველაფერი ისე რიგზე არ იყო, როგორც კაცს ეჩვენებოდა. ფერდინანდმა ძველებურად დაიწყო მოქმედება: იეზუიტები, მონასტრები და საიდუმლო პოლიცია აღადგინა, კონსტიტუცია გააუქმა.

კვლავ გამოჩნდნენ გადასახადების ამკრეფნი, კვლავ საშინლად დაუწყეს ხალხს ჩაგვრა და ძალადობა. ხალხს სცემდნენ მათრახებსა და წკეპლებს, სიკვდილის პირად მიაყენებდნენ ხოლმე ცემით.

რიეგომ რამდენიმე წელი იცადა და დარწმუნდა, რომ ფერდინანდი არაფრით არ სჯობდა ნაპოლეონს. მეფე მეფედ დარჩა.

გავიდა 6 წელი, და რიეგომ კვლავ შეკრიბა თავისი ამხანაგები.

— ხუთი წლის განმავლობაში, — უთხრა მან ამხანაგებს, — ესპანელი ხალხი სისხლს ღვრიდა თავისუფლების მოსაპოებლად. განა ჩვენ იმიტომ ვიბრძოდით ფრანგებისაგან გასათავისუფლებლად, რომ ახლა კიდევ უფრო უმწარესი შევიწროება ავიტანოთ მეფისაგან? ჩვენი მოვალეობაა — მის წინააღმდეგაც ისევე ვიბრძოლოთ, როგორც ნაპოლეონის წინააღმდეგ ვიბრძოდით.

რიეგომ მოახერხა და თავისი ერთგული ოფიცრების მთელი ჯგუფი შეკრიბა. ამ დროს ის მეფის არმიის პოლკოვნიკი იყო.

1819 წელს მეფემ გადაწყვიტა არმია გაეგზავნა აჯანყებული ესპანური კოლონიების წინააღმდეგ ამერიკაში. კიროგამ და სხვა ოფიცრებმა გადაწყვიტეს ჯარის დათვალიერების დროს აემხედრებიათ ამ ექსპედიციის არმიის ჯარისკაცები, მეფე იძულებული გაეხადათ ხელი აეღო თავის მკაცრ პოლიტიკაზე და 1812 წლის კონსტიტუციას დამორჩილებოდა. მაგრამ მათი განზრახვა მეფეს მოახსენა ერთმა გენერალმა, შეთქმულების მონაწილემ. მეფემ განაიარაღა პოლკები, ოფიცრები დააპატიმრა. კიროგამ მოახერხა საპატიმროდან გაქცევა და რიეგოს შეუთანხმდა — ერთსა და იმავე დროს დავიწყოთ აჯანყებაო. რიეგო მეთაურობდა ასტურიელების ბატალიონს. მისი ბატალიონი საექსპედიციო არმიის ცენტრში იყო და ყოველ მხრივ ჯარი ერტყა. რიეგომ გაბედულად წაიყვანა თავისი ბატალიონი. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჯარისკაცები კონსტიტუციის ერთგულნი იყვნენ. 1820 წლის 1 იანვარს რიეგომ დააპატიმრა მთავარსარდალი და მისი შტაბი, თუმცა მათ ორჯერ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარისკაცები იცავდნენ, ვიდრე რიეგოს ჰყავდა. რიეგომ იმაზე მეტიც კი გააკეთა, რაც მას ჰქონდა დავალებული: მან მიიმხრო 5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი და ამ არმიით დაიწყო ესპანეთში სვლა, თანაც ყველგან კონსტიტუციას აცხადებდა, კიროგა კი მშვიდად უცდიდა რიეგოს და არაფერს არ აკე-

* დასასრული. იხ. № 8.

თებდა. მეფემ მოასწრო ჯარების შეგროვება და რევოლუციურ რაზმს ალყა შემოარტყეს კუნძულ დე ლეონზე.

მაშინ რიეგომ შეაგროვა მოძრავი რაზმი, რომელშიც შედიოდა 1500 ყველაზე უფრო მამაცი მებრძოლი, და ამ რაზმით დაიწყო ესპანეთში მოძრაობა. მას დასდევდა ათჯერ უფრო ძლიერი მეფის ჯარის რაზმი, მაგრამ ვერც დაეწია და ვერც ალყა შემოარტყა რიეგოს რაზმს.

მთელი რიგი სასტიკი ბრძოლები გადაიხადეს. დაბოლოს რიეგოს მხოლოდ 200 კაცი დარჩა. დანარჩენები ზოგნი ბრძოლებში დაიხოცნენ, ზოგნი კი მთავრობის არმიის მხარეზე გადავიდნენ.

რიეგოს ზოგიერთმა ამხანაგმა დაიწყო ლაპარაკი: იქნებ უმჯობესია იარაღი დავყაროთო? მაგრამ რიეგომ განაცხადა: არც ერთი ჩვენგანიც რომ არ გადარჩეს, სულერთია, ეს მაინც სარგებლობას მოუტანს რევოლუციას და იქნებ სულ ახლო მომავალში, 50 წლის შემდეგ, ჩვენი სახელები და უმაგალითო გმირობა საბრძოლველად დარაზმავენ ახალ თაობებსო.

— მე მარტოდმარტოც რომ დავრჩე,—ამბობდა რიეგო,—სულერთია, მარტოდმარტო დარჩენილიც კი არ დავემორჩილებიო.

რიეგო მაინც იძულებული გახდა დაეშალა თავისი პატარა რაზმი. მაგრამ მთელ ესპანეთს მოედო გმირული რაზმის ბრძოლების ამბავი. პროვინციებში აქაც, იქაც, ხალხი აჯანყებებს აწყობდა და კონსტიტუციას მოითხოვდა. მეფის არმიაც აჯანყდა. მეფე შეშინდა და ყალბი ფიცი მისცა — ვიცნობ 1812 წლის კონსტიტუციასო, რომლისთვისაც ასე მედგრად იბრძოდა რიეგო. გაიღო საპატიმროების კარები, რევოლუციონერები გაათავისუფლეს. რიეგოს საქმემ გაიმარჯვა.

ეს მოხდა 1820 წელს. მაშინ მთელ ევროპაში უსაშინელესი დესპოტიზმი იყო გამეფებული, და ესპანეთი წარმოადგენდა ერთადერთ თავისუფალ ქვეყანას.

მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი პირები მთელ ევროპაში ზეიმობდნენ, და შორეულ რუსეთშიც კი, სადაც მაშინ არაკჩეევის საშინელი ხანა იყო, პოეტი პუშკინი სიამაყითა და აღტკინებით ლაპარაკობდა რიეგოს გამარჯვებაზე, რომელსაც მაშინაც კი არ დაუკარგავს მხნეობა, როდესაც თითქოსდა ყველაფერი ჩაეღუპა.

ფერდინანდი ეშმაკი, მშიშარა და მკაცრი ტირანი იყო. იგი არ დამშვიდებულა, მან იცოდა, რომ დახმარებას აღმოუჩენდნენ ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორები. მთელი სამი წელიწადი ეღოდა იგი ამ დახმარებას.

და აი, ბოლოს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა პირველმა და საფრანგეთის მეფემ ლუდოვიგო XVIII პირი შეკრეს და გადაწყვიტეს—დროა ჩავერიოთ ესპანეთის საქმეებში, ჩავახრჩოთ ესპანეთის ხალხის თავისუფლება და კვლავ ტახტზე ავიყვანოთ ფერდინანდიო. საფრანგეთის არმიამ პირენეის მთებში არსებული ორი ხეობით, ოხაჩავისა და რონსევალესის მახლობლად, გადალახა საზღვარი და ესპანეთის ტერიტორიაზე შეიჭრა.

ფრანგებმა დაამარცხეს რიეგოს ჯარები. რიეგო მარტოდმარტო დარჩა და მიიმალა. ფერდინანდმა, რომელიც საფრანგეთის ხიშტების წყალობით გამაგრდა, კვლავ დაუწყო რიეგოს ძებნა.

რიეგოს თავს ვინც მიუტანდა, მას დიდ ჯილდოს ჰპირდებოდნენ. დიდხანს იმალებოდა რიეგო ხან ტყეებში, ხან მთებში, დაბოლოს კი მაინც ტყვედ ჩავარდა.

ამ ტრაგიკულმა ცნობამ თავზარი დასცა მათ, ვინც რევოლუციისა და ესპანეთის ხალხის თავისუფლების მომხრე იყო, ხოლო ვინც დესპოტიზმის მხარეზე იყო, ისინი აღფრთოვანდნენ და ზეიმობდნენ.

ერთხელ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I-ლი გამოვიდა თავის კარისკაცებთან და უთხრა მათ: „ბატონებო, ყველას მოგილოცავთ, რიეგო დატყვევებულია“.

კარისკაცების ბრბოში ერია თავადი ვორონცოვიც, ოდესის გენერალ-გუბერნატორი. მას სურდა მეფის გულის მოგება და პირმოთნეობით თქვა: „ოჰ, რა სასიხარულო ახალი ამბავია, მეფეო“!

რიეგო კი ამ დროს საპატიმროში იჯდა, რომელსაც არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა. კიდელში ჭუჭრუტანა იყო, და იქიდან პირდაპირ იატაკზე გადაუგდებდნენ ხოლმე საჭმელს. მას განზრახ აჭმევდნენ მხოლოდ მარილიან საჭმელს და წყალს კი არ აძლევდნენ. მას საშინლად აწამებდნენ, აცმევდნენ „ესპანურ ჩექმას“, რომელშიაც ლურსმნები იყო, და ეს ლურსმნები ესობოდა რიეგოს, მაგრამ იგი ყოველივეს იტანდა.

ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ რიეგოსთან ვერაფერს გახდებოდა, ფერდინანდმა ბრძანება გასცა ჩამოეხრჩოთ იგი.

ამ საშინელმა ცნობამ პუშკინამდისაც მიაღწია. ამავე დროს მეგობრებისაგან გაიგო ვორონცოვის მლიქვნელობის ამბავიც და აღშფოთებულმა გამანადგურებელი ლექსი დაწერა ვორონცოვზე:

„Сказали раз царю, что, наконец,
Мятежный вождь Риего был удавлен.
„Я очень рад,—сказал усердный льстец,—
От одного мерзавца мир избавлен“.

ლექსი ასე თავდება:

„Пристойно ли, скажите, сгоряча
Ругаться нам над жертвой палача.
Сам государь такого доброхотства
Не захотел улыбкой наградить.
Льстецы, льстецы! Старайтесь сохранить
И в подлости осанку благородства“.*

ძალიან დიდი გამბედაობა იყო არაკჩეევის ყაზარმაში, რასაც წარმოადგენდა ამ დროს რუსეთის იმპერია, ასეთი ლექსის დაწერა; პუშკინს აშკარად არ შეეძლო მეფის წინააღმდეგ წერა, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებმაც იცოდნენ სტრიქონებს შორის აზრის ამოკითხვა, ესმოდათ, რომ ირონიით პუშკინი ილაშქრებდა არა მხოლოდ უმსგავსი ვორონცოვის წინააღმდეგ, არამედ მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგაც, რომელიც რიეგოს მკვლელებს თანაუგრძნობდა.

პუშკინი ძალიან დაასევდიანა რიეგოს სიკვდილის ამბავმა. ევროპის ყველა საუკეთესო პიროვნებას ესმოდა, რომ ახლა ესპანეთის რევოლუციას ჩაახრჩობდნენ. მაგრამ რიეგოს საქმე არ დაღუპულა. რიეგოს სახელი არ მიუვიწყნია არა მხოლოდ ესპანელ ხალხს. 1825 წელს, როდესაც რუსი დეკაბრისტები აჯანყებას აწყობდნენ, ისინი რიეგოსა და კიროგასაგან იღებდნენ მაგალითს.

ესპანეთის სამ ქალაქში დგას რიეგოს ძეგლი. ესპანელები ამაყობენ ამ თავისუფლებისათვის მედგარი მებრძოლით. რიეგოს არაჩვეულებრივი გმირობა, შესანიშნავი გული და ერთგულება, მზადყოფნა ყველაფერი შეწირა რევოლუციისათვის— ყველა ეს თვისება აქამდისაც მაგალითს წარმოადგენს რევოლუციური ესპანელი ხალხისათვის. რიეგო ძალიან თავდაბალი იყო; მას არ უყვარდა ლაბარაკი თავისთავზე, თავის გამბედაობასა და თავის ღვაწლზე. არც ის უყვარდა, როდესაც მას აქებდნენ. ის ამბობდა: „მე განსაკუთრებულ რაიმეს არ ვაკეთებ. ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა, საჭიროა ადამიანმა წესიერად გაატაროს თავისი სოცოცხლე და დაჩოქებული არ იყოს ფერდინანდისა თუ ნაპოლეონის წინაშე“.

ის ამბობდა — ბავშვობიდანვე უნდა ჩაუნერგო ადამიანს სიმართლის სიყვარული და უსამართლობის სიძულვილი.

რიეგო მამაცი იყო. ერთხელ მან თეთრი წვერები დაიწება და მათხოვრის სახით შეიპარა ფრანგების არმიაში, სამი დღედაღამე დაჰყო ფრანგებთან და დაათვალიერა მათი ბანაკი.

ყოველთვის, როდესაც რაიმე ძნელი საქმე იყო გასაკეთებელი, უეჭველად თვითონ კისრულობდა მის შესრულებას, არავის არ ავალებდა მას.

რიეგოს რომელიღაც რაზმი ძალიან დამშეული იყო. დიდხანს ვერ მოაშველეს ვერაფერი. უცებ მოვიდა სოფლიდან ქალი და რიეგოსათვის მოიტანა რამდენიმე კარტოფილი, რომ მას ძალღონე მოეკრიბა. მაგრამ რიეგო არაფერში არ აძლევდა თავისთავს უპირატესობას და იქვე ბრძანა დაჭრილებისათვის მიეცათ კარტოფილი.

აი როგორი იყო შესანიშნავი რევოლუციონერი რიეგო—ამაოდ კი არ არის მისი ხსოვნა ესპანელი ხალხისათვის ესოდენ ძვირფასი.

რიეგოს შტაბის უფროსმა—პოეტმა ევარისტო მიგუელმა—დაწერა ესპანური რევოლუციური ჰიმნი, რომელსაც „რიეგოს ჰიმნი“ ეწოდება. ამ ჰიმნზე დაწერილია მუსიკა, და „რიეგოს ჰიმნის“ მუსიკით მიდიან დღევანდელი ესპანელი რესპუბლიკელები ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა**

---

* ამ ლექსის შინაარსი ასეთია: ერთხელ მეფეს მოახსენეს, რომ, ბოლოსდაბოლოს, აჯანყებულთა ბელადი რიეგო ჩამოახრჩეს. „ძალიან მოხარული ვარ,—თქვა ერთგულმა მლიქვნელმა,—ერთი არამზადა მოაკლდა ქვეყნიერებას“. აბა სთქვით, განა მართებულია სიჩქარით ვლანძღოთ ჯალათის მსხვერპლი? თვითონ მეფემ არ მოისურვა ასეთი საქციელის ღიმილით დაჯილდოვება. მლიქვნელებო, მლიქვნელებო! ეცადეთ სიბილწის დროსაც შეინარჩუნოთ კეთილშობილური წარმოსადეგობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თურმან შანშიაშვილი

ყურდღი ჩოფურა

1

წუნკალი მაჩვები და გარეული ღორების მთელი ჯოგი უწყალოდ ანადგურებდნენ კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბრის“ ახალტაროაყრილ სიმინდს.

კოლმეურნეობის გამგეობამ ადრევე შენიშნა ეს და აგერ ერთი თვეა, რაც გამოცდილი კოლმეურნე თედო ბასილაშვილი გაგზავნა მეველედ. თედოს ეძნელებოდა სოფლიდან წასვლა. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, თოთხმეტი წლის ფრიადოსანი გიგა, ახლად იყო დაბრუნებული ქალაქიდან, მამას სურდა მასთან გაეტარებინა ზაფხული... მაგრამ საერთო საქმეს როგორ უღალატებდა? გიგას დაუბარა ფერმაში ყოფილიყო, დედას მიშველებოდა, თვითონ კი მეორე დღესვე აიკიდა თოფი და მინდვრისაკენ გასწია.

მისვლისთანავე დაათვალიერა ახალტაროაყრილი სიმინდები, ყველა ბილიკი და გასავალი გასინჯა, დაკვირვებით შეამოწმა მდინარის ნაპირი, სადაც ღორების კვალი უხვად იყო გაბნეული, რამდენიმეჯერ შემოუარა ყანებს და შემდეგ ბინის მოწყობაზე დაიწყო ზრუნვა.

შუა სიმინდებში მდგომი ტოტებგაშლილი მუხა ამოირჩია. ზედ ავიდა, რამდენიმე მაღლა წასული ტოტი შეაჭრა, გარდიგარდმო გააწყო, წნელით ამოწნა, შიგ ხმელი ბალახი ჩააფინა და ზედ ნაბადი გადააფარა; ამის შემდეგ რამდენიმე ტოტი საწოლის მაღლა მიამაგრა, ზედ ჩალა დაახურა და ამრიგად წვიმის საფრთხეც თავიდან აიცილა. კმაყოფილი მეველე ხიდან ჩამოვიდა, მახლობელი მუხის ხე თვალით გაზომა, აწონდაწონა და მოღერებული ცულით მისკენ გაემართა. ცოტახნის ჩაკუნის შემდეგ მუხის ხე გადაიხარა, უკანასკნელად შეარხია ტოტები, თითქოს სურს რამეს მოეჭიდოსო, და საშინელი ჭახაჭუხით მიწაზე დაენარცხა. მეველემ სწრაფად გასხიპა, საფეხურები გაუკეთა და დიდი წვალებით საწოლისაკენ წაათრია. ძლივს მიაყუდა მუხაზე, ძირი მიწაში გაუმაგრა, ერთხელ კიდევ გაზომა თვალით და ასვლა სცადა. თავისუფლად ავიდა. „კიბეს“ წნელით თავი დაუმაგრა და დღევანდელი მუშაობით ნასიამოვნები დაბლა ჩამოვიდა. ოფლი მოიწმინდა. მუშაობის დროს მოხსნილი თოფი მხარზე გადაიკიდა, ერთხელ კიდევ შეხედა ყვავის ბუდესავით ხეზე მოწყობილ საწოლს და სიმინდის დასათვალიერებლად გასწია.

ასე დადიოდა თედო დღისით, რამდენჯერმე შემოუვლიდა, სიმინდებს მოახლოვებულ პირუტყვს შორს გადევნიდა, მწყემსებს გააფრთხილებდა საქონელზე თვალი დაეჭირათ.

თუ დრო დარჩებოდა, კურდღელზე ან ხოხობზე ნადირობდა, ხშირად გარეულ ღორსაც მოჰკლავდა, ნანადირევს აიკიდებდა და გახარებული ბრუნდებოდა ბინისაკენ.

ღამით ფხიზლობდა. გახდებოდა თუ არა შუაღამე, ღორების ღრუტუნი და მაჩვების ფაჩუნი მოსვენებას უკარგავდა; ძილგატეხილი მეველე საწოლზე წამოჯდებოდა, მოახლოვებულ ღორებს ხმამაღლა დასჭყივლებდა და თოფსაც დააყოლებდა უკვე დამფრთხალებს. დიდხანს მოისმოდა წყლის ჩქაფუნი, ხმელი ფოთლის შრიალი და ფრთხილი ღრუტუნი. მხოლოდ გათენებისას მიწყდებოდა ხმაური. ამ დროს წაიძინებდა თედო და როცა მზე მახლობელ მთაზე გადმოდგებოდა, მაშინ მიატოვებდა საწოლს. ჩვეულებისამებრ სიმინდებს შემოუვლიდა, წაქცეულ სიმინდს ააყენებდა და მდინარისაკენ გასწევდა სათევზაოდ.

დღესაც დილაადრიანად გაეშურა მდინარისაკენ. ანკესებს მიუახლოვდა, პალოზე დამაგრებული თოკი მოხსნა და ის იყო უნდა ამოეწია, რომ ამ დროს ცხენის ფეხის ხმა შემოესმა. მიიხედა უკან და უცნობი მხედარი შენიშნა. მას თავპირი ყაბალახით შეეხვია და მძიმედ ოხრავდა. თედოს გაუკვირდა შუა ზაფხულში ასე შეხვევა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა.

მხედარი მიახლოვებისთანავე მიესალმა, სთხოვა სოფლისაკენ გზა ესწავლებინა. მეველემ თოკი კვლავ პალოზე დაამაგრა და, როდესაც შენიშნა მხედარი სახეზე ხელს იჭერდა, ვეღარ მოითმინა და შეეკითხა:

— რა დაგმართნია, რატომ ხარ შეხვეული?

მხედარმა ღრმად ამოიოხრა და დაიწყო:

— ეს რა ადგილი ყოფილა! ჩემი სიცოცხლე სულ ტყეში და მინდვრად გამიტარებია და ამდენი ნადირი ჯერ არ მინახავს. წუხელის მგლის ჯოგი დაშესხა, ცხენიდან გადმომაგდეს, სახე მთლად დამიფატრეს, — კვნესით დაამთავრა მხედარმა და მეველეს ქურდულად გადახედა.

— ერთი თვეა აქა ვარ და მე ჯერ ნადირი არ მინახავს!

— როგორ არ გინახავს, მაშ არ გაგიგონია მაინც, რომ აქ ორი დღის წინ მწყემსი დაგლიჯეს? მარტო მგლები კი ერ არიან, ამბობენ, დათვებიც ბუდობენ და ავი სულებიც ბლომად თარეშობენო.

— ავი სულები სულაც არ ბოგინობენ ამ ქვეყანაზე. დათვებზე კი აბა რა გითხრა, მე არ მინახავს — წარმოთქვა მეველემ და ეჭვის თვალით შეხედა მხედარს, რომელმაც წეღანდელი ოხვრა რატომღაც შეწყვიტა.

— დათვები და ცოფიანი მგლები რომ არიან, ეს უეჭველია, და ავი სულებიც რომ ყოფილან ამ ტყეში, ამასაც ამბობენ. ერთი მგელი ისე აბრიალებდა თვალებს, რომ ვინ იცის... — აღარ დაამთავრა მხედარმა და მეველეს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

თედომ მხედარი გზაზე გაიყვანა, სოფლის მიმართულება ხელით აჩვენა და გზა დაულოცა. დიდხანს უყურებდა მხედარს, რომელიც თეთრ ცხენს სწრაფად მიაქროლებდა და წამდაუწუმ მათრახს სცემდა.

— ავი სულები კი აბა რა სათქმელია, მაგრამ მგლები კი იქნებიან, ვინ იცის, იქნება დათვებიც ბუდობენ, — გაიფიქრა მეველემ და ანკესებს დაუბრუნდა. ბედზე ორი ლოქო ამოათრია. ლოქოები მშიერ ბარტყებივით აღებდნენ პირს და ქვიშაზე საცოდავად ფართხალებდნენ. ორივეს ლაყუჩებში წნელი გაუყარა, მხარზე გადაიკიდა და შინისაკენ გასწია.

2

შემგლისფერდა... ღამის ბინდი ნელნელა ამოჰყვა ალაზნის ნაპირებს, სიმინდის ყანებს მოედვა და მიდამო შავ ბურუსში გაახვია. შორეული მთები ღამის სიბნელეში ჰორიზონტზე მიმავალ გემებივით მიიმალნენ. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველაფერმა მიიძინა, მხოლოდ მდინარის დუდუნი და მახლობელ ბუჩქებში დაბუდებული ბულბულების ერთფეროვანი ჭრიჭინი არღვევდა ღამის მყუდროებას. თედო იწვა თავის საწოლში და ვარსკვლავებით მოჭედილ უმთვარო ცას შეჰყურებდა.

— სამი დღეა აღარ ჩამოსულა ის ბიჭი, ნეტა რა დაემართა, რატომ აღარ მოვაგონდი იმ ღორმუცელას? ალბათ, თავის საყვარელ ხბორებს ვერ მოშორებია. — გაიფიქრა მეველემ და თვალწინ გიგა წარმოუდგა. მალე ეს ფიქრი სხვაზე გადაიტანა და უცებ მხედრის ნაამბობი მოაგონდა.

— ვინ იცის, იქნება მართლა არიან ცოფიანი მგლები, დათვებიც შეიძლება იყვნენ. ალბათ, მთებიდან ჩამოდიან, ტყის პანტასა და წიფელს დაეძებენ.

— ავი სულები? ამის ხსენებაზე ხელი ჩაიქნია, თავი ასწია და, თითქოს თავის ფიქრისა შერცხვაო, მიდამო მოათვალიერა. ირგვლივ ჩაბნელებული ბუჩქები და შორეული მთების კონტურები მოჩანდა. სიმინდის ღეროები ნელა ირხეოდნენ ღამის სიოზე და ერთმანეთს საიდუმლო ჩურჩულით ეალერსებოდნენ.

— მგელი ჩემ საწოლამდე ვერ მოაღწევს, ხეზე ვერ ამოვა. დათვი? ამის ხსენებაზე ტანში უჩვეულო ჟრუანტელმა დაუარა, ერთხელ კიდევ მოათვალიერა მიდამო და ფართედ გაღებული თვალები ამოსასვლელზე შეაჩერა, თითქოს შემოწმება სურდა დათვი ამოვიდოდა თუ არა. ცოტახნის შემდეგ ამოსასვლელს მოსწყვიტა თვალები, ნაბადი პირზე წაიხურა და დაძინება სცადა, მაგრამ ცოფიან მგელსა და დათვებზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

უცებ ღამის მყუდროება ღორების ხმაურმა დაარღვია. ერთ წამს მეველეს თავისი ფიქრი გადაავიწყდა, საწოლზე წამოჯდა და სმენად გადაიქცა. მკაფიოდ გაარჩია ღორების ღრუტუნი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა და სიმინდებისაკენ მოიწევდა. მეველემ თოფს მაგრად ჩასჭიდა ხელი, ჩახმახი შეაყენა, ფეხზე წამოდგა, რიხიანი ხმით დასჭყივლა და თოფიც დააყოლა. ეს ხმა მძლავრ ქუხილად გაისმა, სიჩუმე გაარღვია, უზარმაზარ ჭალას ზანზარით გადაევლო და ჟრუანტელის მომგვრელი გამოძახილით შორეულ ხევებში გადაიკარგა.

შუაღამე გადავიდა, მრავალი[1]) გადაიხარა, აღმოსავლეთიდან გრილმა სიომ დაუბერა და დაგვიანებულმა მთვარემ მილეული შუქით მთების იქით ამოანათა. ნაბადში გახვეული თედო დაძინებას ცდილობდა, მაგრამ... ერთხელ აკვიატებული ფიქრი არ შორდებოდა, დათვისა და ცოფიანი მგლის ლანდები არ ასვენებდნენ. ფიქრებით მოღლილი მძიმედ ოხრავდა, ნაბადს პირზე იხურავდა, თოფს იხუტებდა და დროგამოშვებით საწოლში ბრუნავდა, ფიქრი კი მაინც არ შორდებოდა... უცებ ღამის სიჩუმე კვლავ რაღაცას ხმაურმა დაარღვია. თედოს გულმა გაორკეცებით დაუწყო ცემა, გაინაბა, მთლად სმენად გადაიქცა; ხმაური არც ღორის სიარულს, არც მაჩვის ფაჩუნს და არც შაშვის ფრთხიალს არ ჰგავდა, სულ სხვა, არაჩვეულებრივი ხმაური იყო. მეველეს შიში უფრო გაუორკეცდა, გულმა ცემას უმატა და ხელი თავისდაუნებურად ჩახმახისაკენ წავიდა. ხმაური თანდათან ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა და მეველეს სულ უფროდაუფრო აშფოთებდა.

შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. მოიკრუნჩხა, ერთ ადგილას გაქვავდა და ხელი ჩახმახს ჩაკვდა. ხმაურობა მოახლოვდა, სიმინდის უჩვეულო შრიალი და სირბილის ხმა ერთმანეთში აირია. მეველემ შეშინებული თვალებით მიდამო ერთხელ კიდევ მოათვალიერა, თითქოს მშველელს ეძებდა, მაგრამ ირგვლივ ჩაბნელებული სიმინდებისა და გარინდებული მუხის ტოტების მეტი არაფერი მოჩანდა. არც ხმა ისმოდა. ირგვლივ არავინ ეგულებოდა, მხოლოდ მდინარე მიაგორებდა ზვირთებს და მისი ერთფეროვანი დუდუნი მარტოობას უფრო მეტად აგრძნობინებდა.

ხმაური კი უფრო ახლოვდებოდა... უცებ მის ახლოს გადატყდა სიმინდის ღერო და ამ ხმამ მეველეს გული გაუკაწრა. უფრო გაინაბა, თოფი მიიზიდა და განსაცდელის მოლოდინში ამოსასვლელს მიაჩერდა.

— „ან ახლა ამოვა, ან ახლა,“ — ფიქრობს მეველე და დაჭყეტილი თვალებით რაღაცას ელის, მაგრამ არც თვითონ იცის რას...

ხმაური მუხის ქვეშ გაისმა, კარგად გაარჩია ფეხის ხმა, გარკვევით მოესმა ქშენა და უცნაური ქასქასი. მეველეს ფერი ეცვალა, გული გადმოვარდნას ლამობდა, ჩახმახი შეაყენა. მუხის ქვეშ ხელი ფოთლების შრიალმა იმატა და ამოსასვლელზე ყრუ ბაგუნი გაისმა.

— ვიღაც ამოდის, — გაუელვა თავში მეველეს და მომზადებული თოფი ამოსასვლელისაკენ მიმართა. მარჯვენა თვალი მკრთალ სინათლეზე აპრიალებულ ლულას გაჰყვა და ნიშანზე მომცრო ტანის ლანდი აიმართა.

— მამავ! — გაისმა წყნარი ხმა, და თოფის ლულამ დაბლა დაიწია.

— ოხ, შენ ხარ, შე ეშმაკო? ამ დროს აქ რამ მოგიყვანა! — წარმოთქვა აღელვებით მეველემ და ჩახმახი დაუშვა.

— ქურდები დაგვეცნენ, ფერმიდან საქონელი გაიტაცეს... მგონი აქეთ გამორეკეს... ახლა აქ უნდა იყვნენ... ალბათ, ფონით გავლენ... ჩქარა, თორემ გაგვასწრებენ... მარტო მე ვიყავი... იაგორა პაპა ვერ წამოვიდა... — წარმოთქვა ქლოშინით გიგამ.

თედო უსიტყვოდ გაჰყვა შვილს. დაბლა ძაღლი მიეგებათ, პატრონის დანახვაზე ჩუმად ჩაიწკმუტუნა, შეჰყეფა და მიმავალ მამა-შვილს რამდენიმეჯერ გარს შემოურბინა. მეველე მიხვდა თავისი შიშის მიზეზს, მაგრამ ახლა ამისათვის აღარ ეცალა. სწრაფი სირბილით ჩაათავა სიმინდები, მდინარის პირას ჩავიდა და ტყიანი ბილიკით ფონისაკენ გასწია. ბილიკის მაღლა ხეების ტოტებს თაღი შეეკრათ, ერთმანეთში გადახლართულიყვნენ და ხშირი ფოთლით მთლად დაებურათ. მთვარის შუქი აქა-იქ ფოთლებში ძვრებოდა, წვრილ სვეტებად ეშვებოდა და ვიწრო ბილიკს საამურად აჭრელებდა.

ძაღლი არ ისვენებდა, პატრონს ხან ფეხქვეშ უძვრებოდა და ხან წინ გარბოდა. ფრთხილმა მეველემ გიგას ძაღლის დაჭერა ანიშნა და ჩურჩულით დაუმატა: წინ არ გაუშვა, გაგვცემსო.

ცოტახანს კიდევ იარეს. გზაჯვარედინს მიადგნენ, ერთ წამს შედგნენ და ორივენი სმენად გადაიქცნენ. ძაღლიც გაინაბა, თითქოს პატრონის გულისთქმა იგრძნო, ქასქასი შეწყვიტა და ჭკვიანი თვალები გიგას მიაპყრო. არაფერი ისმოდა. ტყეს ეძინა, ხეები განუძრევლად იდგნენ, ფოთლებიც არ ირხეოდნენ, მხოლოდ მდინარე ქარგავდა თავისებურ ჰანგებს...

აღმოსავლეთით ხარიპარიამ[1]) ამოყო თავი. ცისკიდურს ოდნავი სინათლე დაეტყო. განთიადის სიომ წყნარად შემოუბერა.

---

[1]) ვარსკვლავების ჯგუფი, რომელიც გათენების ჟამს დასავლეთით იხრება.

[1]) ხარიპარია — ვარსკვლავი, რომელიც გათენებისას ამოდის.

— ჩქარა, თორემ გაგვასწრებენ! — წარმოთქვა თედომ და ფრთხილი ნაბიჯით წინ გასწია. გიგა უხმოდ გაჰყვა.

ფონს დაუახლოვდნენ. პატარა ბორცვთან შედგნენ. თედომ უხმოდ წამოიჩოქა, თოფი მოამზადა და გზას თვალიერება დაუწყო. გიგამ მამის მაგალითს წაჰბაძა, ძაღლი კი წამოცუცქდა და ჰაერი იყნოსა.

ბევრი ლოდინი არ დასჭირებიათ. შორს მოისმა საქონლის ფეხის ხმა და მათრახის ტყლაშატყლუში. ისინი სწრაფად მოერეკებოდნენ, იჩქაროდნენ ფონზე გასვლას. ძაღლი აწკმუტუნდა, მძლავრად გაიწია, მაგრამ გიგამ ჩასჭიდა ხელი, მარჯვენა მკლავი ყელზე მოხვია და გულისფანცქალით ელოდა...

ხმაური მოახლოვდა; მკაფიოდ გაისმა ძროხების ზმუილი, ცხენების თქარათქური. ისინი სულ ახლო მოვიდნენ, ბუჩქებს გაუსწორდნენ, საცაა ძროხებს წყალში ჩაყრიან და გაღმა გაიყვანენ.

— ხელები ზევით! — მეხივით გაისმა თედოს ხმა და თოფი თეთრცხენიან ავაზაკს დააღირა. ქურდები დაიბნენ, ვეღარ მოიფიქრეს რა ექნათ, შემოაბრუნეს ცხენები და უკან გაქუსლეს.

— შესდექ, გესვრი! — დასჭექა მეველემ. ავაზაკებმა მიუშვეს აღვირები და გაქცევას ლამობდნენ. თოფმა იქუხა, და თეთრ ცხენზე მჯდომი მხედარი მძიმედ დაეცა.

თოფის ხმაზე ძაღლი აცმუკდა, გიგას ხელიდან გაუსხლტა და გაცოფებული ყეფით გაექანა, მას თედო მიჰყვა.

ავაზაკი პირქვე იწვა და ხელს მხარზე იჭერდა, სადაც მეველის ტყვია მოხვედროდა. თედომ იცნო ის მხედარი, რომელიც გუშინ შეხვდა და ცოფიან მგლებსა და ავსულებზე ელაპარაკებოდა. ყაბალახი მას ახლა მხარზე ჰქონდა გადაგდებული, სახე კი სულ საღი მოჩანდა. თედომ პირქვე მწოლარე ავაზაკი ამოაბრუნა. მამა-შვილმა განცვიფრებით შეხედეს ერთმანეთს, მათ იცნეს გაუსწორებელი ქურდი ჩოფურა.

სანდრო ქლენჯი



ვაზი

გადაგრეხია ჭიგოს ყლორტებით
ვაზი აყრილი, ლერწებმაგარი,
ცვარში კრიალებს ლურჯი ფოთლები—
ვაჟკაცის ხელით ნაამაგარი.

გადაგრეხია ლერწებს ლერწები,
ზვარში ჩამდგარა მზის ბრწყინვალება,
დაყურსულ მტევნებს ეალერსება
ყოველი ფოთლის აშრიალება.

გულიც ხალისით ფეთქს და ხმიანობს,
რთველს რომ უმღერის ახალგაზრდობა...
დაშაქრდი, მარცვლებბარაქიანო,
ზვარში ჩამდგარო ყურძნის ქარვობა!

ვაზო აყრილო, ლერწებმაგარო,
იზარდე ასე, როგორც გაზრდილხარ...
ვაჟკაცის ხელით ნაამაგარო,
ვაზის ჭირიმე, კოხტა ვაზისა!

„მოწაფეთა გმირობა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულით შევაღე სკოლის კარები

ირაჟრაჟა... მტრედისფერმა განთიადმა კარებზე ფრთხილად მოაკაკუნა, ჩიტუნებმა მხიარულად დაგუგუნეს მაყრული და ჟივილ-ხივილით მიესალმნენ განთიადს. ფირუზისფერ ცაზე ნელა გაცურდა დიდი მნათობი. გაიღვიძა სოფელმა...

მე ჩვენი სახლის აივნიდან გადმოვყურებდი ახლადგაღვიძებულ კახეთის მიდამოებს, მაგრამ ფიქრებით შორს ვიყავ, ჩემს ძვირფასს ამხანაგებთან, ჩემს საყვარელ სკოლაში.

— ლეილა, მივდივართ! —მომესმა მამის ხმა, და ამ ხმამ გამომაფხიზლა ფიქრებისაგან.

საჩქაროდ გამოვეთხოვე ჩემს საყვარელ დეიდას და მშობლებთან ერთად ჩავჯექი ეტლში. უკანასკნელად გადავავლე თვალი შეჩვეულ მიდამოებს; იქით მოჩანდნენ მწვანე ველები, ათასფერი ყვავილებით შემკულნი, და შორს კი—წყნარად მოდუდუნე მდინარე ალაზანი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მატარებელი მიგვაქროლებდა ტფილისში, ჩემს საყვარელ ამხანაგებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან და ნათესავებთან...

მატარებელი მიჰქროდა ოხვრით, კვნესით, ქშენით, ვაივაგლახით, თითქოს ისიც ცდილობდა როგორმე ჩქარა წავეყვანე საყვარელ ადგილას. დროგამოშვებით გადავიხედავდი ფანჯრიდან და ისევ კახეთის მწვანე ველები მოჩანდნენ... რამდენიმე ხნის შემდეგ მივუახლოვდით ტფილისს.

ბაღებით და ბაღნარებით მორთული, შადრევნებით დამშვენებული, ელექტრობით გაშუქებული ტფილისი მხიარული ჟრიამულით შემხვდა... მეჩვენებოდა, თითქოს ყველა მე მიცინოდა, თითქოს მათაც ჩემი ხვალინდელი სიხარული აღფრთოვანებდათ...

მეორე დილას მხიარულმა გავწიე სკოლისაკენ. მუხლები მითრთოდა, ტანში რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა, როცა ჩემი საოცნებო კლასის კარებს ვაღებდი და ამხანაგებს ვეხვეოდი.

ასე სიხარულით დავიწყე სწავლა და ასევე სიხარულით ვისწავლი ბოლომდე.

მე შევინარჩუნებ ჩემს ფრიადებს ყველა საგანში და ვიქნები ბედნიერი სამშობლოს ღირსეული შვილი.

მე-18 სკოლის VII კლ. მოწ.

ლეილა ჭიალაშვილი.

ფრიადოსნის სახელს შევინარჩუნებ

დიდი სიხარული მაგრძნობინა ახალი სასწავლო წლის დაწყებამ. გული სიხარულით მევსებოდა, როდესაც წიგნებით ხელში მივდიოდი სკოლისაკენ.

სულ სხვანაირია სწავლის პირველი დღე, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც წარმატება აქვს: მას თითქოს სკოლა უცინის და მადლობას უცხადებს. მეც პირველი კლასიდან ვითვლები ფრიადოსან მოწაფედ, და I-ელ სექტემბერს სკოლა თავის სიხარულს მეც მიზიარებდა.

ვეცდები არ დავკარგო ფრიადოსნის სახელი.

პირველსავე დღესვე ავიღე ვალდებულება:

1. შევინარჩუნო ფრიადოსნის სახელი.

2. დავიცვა დისციპლინა, როგორც სკოლაში, პიონერთა რაზმში, ისე სკოლის გარეთ.

3. წესიერად შევასრულო მასწავლებლების და მშობლების დავალებები.

4. გავხდე აქტიური მკითხველი გაზ. „ნორჩი ლენინელისა" და ჟურნ. „პიონერისა".

ჩემს მიერ აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად ვიბრძოლებ მთელი ჩემი ენერგიით, რომ თამამად წარვსდგე ჩემი მასწავლებლების, ჩემი ორგანიზაციის და ჩემი მშობლების წინაშე.

მე-27 სკოლის მე-7 კლასის მოწაფე

ნონა ძეგულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფრიადზე სწავლაა“

ლ. ბერია

გავხდები ფრიადოსანი

გასული სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მე დავათვალიერე ტფილისის ახლომახლო ზოგიერთი სოფელი; ვიყავი დიღომის ჭალებში, წინამძღვრიანთ კარში, მცხეთაში და საგურამოში.

საგურამოში დავათვალიერე ი. ჭავჭავაძის სახლი და ის ადგილი (წიწამური), სადაც მოჰკლეს ილია. იმ დროს იქ აკეთებდნენ ილიას ხსოვნის აღსანიშნავად ობელისკს. დავათვალიერე აგრეთვე მთაზე ძველთაძველი ჯვრის მონასტერი და მცხეთაში არსენას საფლავი, რომელზედაც აწერია „არსენას ლექსიდან“ ამოღებული სიტყვები „აქაც კარგი ბიჭი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“.

ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ წავედი კიკეთში, სადაც არდადეგების პერიოდში ვკითხულობდი წიგნებს და ვწერდი ჩემს შთაბეჭდილებებს ნახულ სოფლებზე, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მემატებოდა სკოლაში დაბრუნების სურვილი.

აი, დადგა კიდეც ეს სანატრელი დღე. 30 აგვისტოს დავტოვეთ კიკეთი და გამოვემგზავრეთ ტფილისისაკენ. მოუთმენლად ველოდი 1 სექტემბერს, რომ წავსულიყავი სკოლაში, მენახა ამხანაგები და ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა ზაფხულის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებები.

გათენდა 1 სექტემბერი, და მეც სიხარულით გავეშურე სკოლისაკენ. სკოლაში ამხანაგები და მასწავლებლები დიდი სიხარულით შევხვდით ერთმანეთს. დაიწყო 1-ლი გაკვეთილი, რომელსაც მთელი ზაფხულის განმავლობაში ასე მოუთმენლად ველოდით.

იმავე დღეს რამდენიმე მოწაფემ გამოვიწვიეთ ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში და დავდევით პირობა, რომ სასწავლებლის დამთავრებამდის ვიქნებით ფრიადოსნები.

მე ჩემი ვალდებულების შესრულებისათვის დაუზოგველად ვიბრძოლებ.

მე-18 სკოლის VI კლ. მოწ.

ზეინაბ მოლდებაძე

ჩემი სკოლა

ჩემი გული სიხარულით და ბედნიერებით აივსო, როდესაც სკოლაში პირველად მისულს საყვარელი აღმზრდელი—სკოლა კოხტად მოწყობილი და გალამაზებული დამიხვდა.

ახლადშეღებილი კედლები სინათლესა და სიხარულს აფრქვევდნენ ირგვლივ. ახალი გასუფთავებული და სინათლიანი საკლასო ოთახები, ახალი დაფები, კრიალა მერხები—ყველაფერი ეს უზომოდ ახარებდა ჩემს გულს. ყოველწლიურად ახალ-ახალი საჩუქრებითა და გასართობებით მხვდება ჩემი სკოლა; აი, ახალი, უზარმაზარი, სინათლიანი პიონეროთახი რბილი სავარძლებით, უამრავი გასართობით —ჭადრაკით, ბილიარდით, პატეფონით. კედლებს ამშვენებენ საყვარელი სტალინის, ვოროშილოვის, ბერიას და სხვ. სურათები. აივანი, რომელზედაც ოთახი გადის, სავსეა ყვავილებით. აქ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია კულტურულად დაისვენოს და მხიარულად გაატაროს დღე.

აი, ახალი სასპორტო დარბაზი ორძელით, ღერძით, რგოლებით, ხარიხითა და სხვა იარაღებით. აქ ჩვენ ვამაგრებთ, ვაკაჟებთ ჩვენს სხეულს, რომ ღირსეულად დავიცვათ დიადი სამშობლო.

ჩემს სკოლას არ ჰქონდა ქიმიის კაბინეტი, წელს კი ქიმიის კაბინეტიც მოწყობილია.

ყოველწლიურად ლამაზდება ჩემი სკოლა, ყოველწლიურად ახალ-ახალი სიხარულითა და ბედნიერებით აღაფრთოვანებს ჩემს გულს. ნუთუ სირცხვილი არ არის არ ვისწავლო და არ შევასრულო საყვარელ ლავრენტი ბერიას მოწოდება:

— მოწაფეთა გმირობა ფრიადებზე სწავლაა!

მე-14 სკოლის მე-VIII კლ. მოწ.

ზურაბ ახვლედიანი

ლევრ. ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისაკენ

I.

ქუჩებში არ იყო არც დროშები, არც პლაკატები, მაგრამ ყველაფერს ზეიმის ფერი ედო. ისმოდა ბავშვების წკრიალა ხმა, ყიჟინა. ქუჩებში ყოველი სახლის წინ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მოწაფეები: დაწითლებული იყვნენ მზით, ფაქიზად და კოხტად ეცვათ, ხელში ეჭირათ წიგნები, რვეულები და ერთმანეთს გასძახოდნენ:

— წამოდით, რატომ იგვიანებთ?

— ჩქარა, თორემ ცუდია პირველ დღეს დაგვიანება.

სახლებიდან გამორბოდნენ ბავშვები. ზოგიერთებს უკან დედები მოსდევდნენ, უსწორებდნენ ტანისამოსს, აკოხტავებდნენ. ყველას უნდოდა თავისი ბავშვი პირველ დღეს სხვებზე უფრო გამოწყობილი ჰყოლოდა.

ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდნენ ქუჩებში და გატაცებით უამბობდნენ ერთმანეთს ზაფხულში მიღებულ შთაბეჭდილებებს. ყველაზე მეტად ზაზას ნაამბობმა დააინტერესა ბავშვები. მას ამხანაგებისათვის ხელი არ წაუვლია, არც უყვირია: ყური მიგდეთ, ჩემ თავგადასავალს გიამბობთო. არა, მან თავისი მიმზიდველი, წკრიალა ხმით მიიპყრო ყველას ყურადღება.

ზაზა ლამაზად ლაპარაკობდა:

— წაღვერი.. ცემი...რა მშვენიერი ადგილებია. შესანიშნავი ტყეებია და ბალახი ხავერდივით ბიბინებს. მთებზე ჩუხჩუხით მორბიან ნაკადულები...

— შენ საიდან იცი?—შეაწყვეტინა ერთმა ცუგრუმელა ბიჭუნამ.

— წელს იქ იყო ჩვენი ბანაკი. როცა დავბრუნდი, ყველაფერი ვუამბე მამაჩემს. მამამ მითხრა:

— ბედნიერად ცხოვრობთ ახლა ბავშვები, ნეტავ მეც თქვენოდენა ვიყოვო...

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი,
აბა, ბიჭო, ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!

ირ. ევდოშვილი

ზაზას ირგვლივ იმდენი ბავშვი შეჯგუფებულიყო, ისე ახლო-ახლოს მისდევდნენ ერთიმეორეს, რომ უფროსები ტროტუარიდან შუა ქუჩაში გადადიოდნენ...პატარების ცელქმა ხმაურმა ქუჩებში სიცოცხლე დაატრიალა. ქუჩაში მიმავალი ხალხი თვალს ვერარ აშორებდა მერცხლებივით მოჭიკჭიკე ბავშვებს. მათ იტაცებდა პატარების სილაღე და სიხარული.

II.

ქუჩები სავსე იყო ავტომობილებით: ვინ მოთვლის, რამდენგვარი არ იყო და რა ფერის: შავები, წითლები, რუხი, მიხაკისფერი და კიდევ ათასი ფერი. ყველა სარკესავით კრიალა იყო და მზეზე ბრჭყვიალებდნენ. ერთი შავი, ლაპლაპა ავტო უცებ გამოცურდა მოსახვევიდან. ყველა ჩამოეცალა, ხოლო ერთი, შუა ქუჩაში მიმავალი, კაცი სრულებით არ აქცევდა ყურადღებას. შოფერმა მისცა ნიშანი, ავტო საყვირივით ააკივლა. მგზავრი აინუნშიც არ იყო, მიდიოდა დინჯად და უცქეროდა ზაზას და მის პატარა მეგობრებს. შოფერმა ნიშნით რომ ვეღარაფერი გააწყო, ავტოს დამუხრუჭება სცადა. ეს რომ ზაზამ დაინახა, უცებ შეწყვიტა ამბავი, გადახტა ქუჩაში და ხმამაღლა დაიყვირა:

— ძია! ძია!

ბავშვის ცივმა ხმამ მგზავრი უცებ გამოარკვია, გაიხედა და მის ცხვირთან გაჩერებულ ავტოს რომ შეხედა, შიშით ჰაერში შეხტა; ფერი დაეკარგა და გაფითრებული იცქირებოდა აქეთ-იქით.

ავტოში სამხედრო პირები ისხდნენ. ისინი იცინოდნენ.

— კაცო, შუა ქუჩაში რომ მიდიხარ, წინ აღარ უნდა გაიხედო?—ღიმილით მიმართა ერთერთმა მეთაურმა.

კაცს პასუხის თქმის თავიც აღარ ჰქონდა. რცხვენოდა, ასეთი საქმე რომ შეემთხვა.

— ძია, როგორ მიდიოდი, ასე სოფელში დაიარებიან. აი, ამ კიდეზე უნდა იარო, — მიუთითა ზაზამ.

— მართალი ხარ, ჩემო პატარა, მართალი, — კაცმა გული მოიბრუნა, — მაგრამ მე რომ ავტოს გავეტანე, შენი ბრალი იქნებოდა, — მიმართა ღიმილით ზაზას.

ზაზას არ მოეწონა იმ კაცის პასუხი. შეწუხდა.

— რა უმადური ვინმე ყოფილა, — თქვა ზაზამ.

— მართლაცდა უმადური, — დაეთანხმნენ სხვებიც.

III.

ზაზა და მისი მეგობრები მორბოდნენ სკოლისაკენ. დილის საამური ნიავი ქროდა და წითელი ყელსახვევები ფრიალფრიალით ეთამაშებოდა მათ ყელზე.

ბავშვები ტკბილი საუბრით მიუახლოვდნენ სკოლას. მხოლოდ ზაზა იყო ოდნავ დაღონებული. ეზოში უთვალავი ბავშვი იყო. იქვე იდგნენ მასწავლებლებიც. მათ ჯგუფ-ჯგუფად ეხვივნენ ბავშვები.

ზაზამაც თავისი მასწავლებლისაკენ გასწია. მასწავლებელმა შორიდანვე შესცინა მას. ტკბილი იყო მასწავლებლის ღიმილი, სასიამოვნო. ბავშვმა თავი დახარა და საყვარელი მასწავლებლის წინ მორიდებით დადგა. მასწავლებელმა ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი, მერე ნიკაპზე ამოდო ხელისგული და თვალებში ჩახედა. მასწავლებელს დინჯად უცქეროდა ზაზას ჭკვიანი, ცისფერი თვალები.

— გეტყობა, ზაფხული კარგად გაგიტარებია, — უთხრა მასწავლებელმა.

— კარგად გავატარე, მასწავლებელო, შესანიშნავი დღიურიც მაქვს დაწერილი, ახალი წიგნები წავიკითხე, მაგრამ... ეს უკანასკნელი სიტყვა დაღონებულის კილოთი თქვა.

— კარგია წიგნების წაკითხვა, დღიურების დაწერა, ხოლო ეს „მაგრამ“ რაღას ნიშნავს?

ზაზა გაჩუმდა. თითქმის თქმას არ აპირებდა, მაგრამ შემდეგ თავისი დინჯი კილოთი დაიწყო:

— ახლა მე და ჩემი ამხანაგები ქუჩაში მოვდიოდით და ვსაუბრობდით. უცებ თვალი მოვკარი კაცს, რომელიც მე შემომცქეროდა და ვერ ამჩნევდა, როგორ უახლოვდებოდა გაქანებული ავტო. მე გავაფრთხილე და გადარჩა. მერე ვუთხარი: ასე სიარული როგორ შეიძლება, აქ სოფელი ხომ არაა მეთქი. მან კი მადლობის ნაცვლად ასე მიპასუხა: ავტოს რომ გავეტანე, შენი ბრალი იქნებოდაო. არ ვიცი რატომ...

სკოლის ზარი წკრიალებდა. ყველა სკოლის კარებისაკენ გაეშურა. მასწავლებელმა კვლავ ალერსიანად გადაუსვა ხელი თავზე ზაზას და უთხრა:

— შენ კარგი ბიჭი ხარ. ალბათ ისე კარგად მოდიოდი, რომ იმ კაცის ყურადღება მიიქციე და ავტოს მოახლოვება ვეღარ შენიშნა.

ზაზას მასწავლებლის პასუხმა აუხსნა იმ კაცის ღიმილით წარმოთქმული საყვედური და ისიც სიხარულით გაიქცა სკოლის კარებისაკენ.

გრიგოლ ნოზაძე

კოლმეურნე ლელი

როცა დილა გათენდება,
ნიავი ქრის ნელი, —
სამუშაოდ ეშურება
კოლმეურნე ლელი.
დამკვრელია. სიზარმაცე
არ სჩვევია ლელის,
ჯილდო მისცეს რამდენჯერმე,
მომავალშიც ელის.
წინანდელი ახსოვს ლელის,
როცა იყო მწყემსად,
დადიოდა ფეხშიშველი,
თითქოს ჰქონდა წესად.
და ახლა კი კოლექტივში
შრომობს სიხარულით,
ვერავინ სჯობს სოცშეჯიბრში
საქმის სიყვარულით.
როცა შრომობს, ლელის ლოყებს
ნელი ქარი ჰკოცნის
და მზე თავის ოქროს სხივებს
თეთრ სახეზე სტყორცნის.
თვის ტოლებში როცა შრომობს,
ვინ აჯობებს ლელის!
დამკვრელია, ჯილდო მისცეს,
მომავალშიც ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩ. დავთიანი

1812 წელი რუსეთში

ბოროდინოს ბრძოლები

ნაპოლეონის მიზნები

საფრანგეთის სახელგანთქმულმა იმპერატორმა ნაპოლეონ I 1812 წლის პირველი ნახევრისათვის დაამთავრა ევროპის მსხვილი სახელმწიფოების დაპყრობა. გერმანიამ, ავსტრიამ, იტალიამ ქედი მოიხარეს ნაპოლეონის დიდების წინაშე.

მისი ცნობილი „დიდი არმია“ შიშის ზარს სცემდა მთელს ევროპას. ნაპოლეონის აჩრდილიც კი აშინებდა მათ. იმპერატორი ზეიმობდა გრანდიოზულ გამარჯვებებს...

მაგრამ...მიღწეული გამარჯვებები არ აკმაყოფილებდა ნაპოლეონს. წარმატებებისაგან თავბრუდახვეულ იმპერატორს უფრო შორეული მიზნები ამოძრავებდა. მასში ანტიკური ქვეყნის სახელგანთქმული სარდლის ალექსანდრე მაკედონელის სურვილები ცოცხლობდნენ, მასაც სურდა ევროპისა და აზიის სრული მბრძანებელი ყოფილიყო, მასაც სურდა ინდოეთისა და ჩინეთის მბრძანებლობა, ამიტომ მისი ოცნება ყოველთვის აღმოსავლეთისკენ მოისწრაფოდა.

ნაპოლეონს სურდა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა: ერთის მხრით მისი მიზანი იყო დაემხო ალექსანდრე I-ლის მეფობა რუსეთში, რომელმაც ნაპოლეონის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი შეჰკრა ინგლისთან, და, მეორეს მხრივ, რუსეთის დამარცხებით ის გზას იკაფავდა ინგლისის აზიური კოლონიების (პირველ ყოვლისა ინდოეთის) დაპყრობისაკენ. ინდოეთის დაპყრობით ნაპოლეონს სურდა გაეტეხა და დაესუსტებინა ინგლისის წინააღმდეგობა.

აღმოსავლეთში სალაშქროდ იმპერატორი დიდხანს ემზადებოდა. მან ნახევარი მილიონი არმია შეადგინა. ნაპოლეონის მიზნები საიდუმლოებით იყო მოცული; ჯარმა არ იცოდა რისთვის მიჰყავდათ ისინი რუსეთში.

ნაპოლეონს კარგად ესმოდა რუსი ხალხის ძალა და ამიტომ ყოველმხრივ ზომავდა მომავალ ლაშქრობას. მან წინასწარ უამრავი აგენტი გამოგზავნა რუსეთში. ეს აგენტები აგიტაციას ეწოდნენ გლეხობაში ნაპოლეონის სასარგებლოდ, აღუთქვამდნენ მათ, დიდი იმპერატორი რუსეთში მოდის გლეხობის ბატონყმობის უღლიდან გასათავისუფლებლადო. ნაპოლეონი დაპირებებით, მოტყუების გზით ცდილობდა რუსი გლეხის გულის მოგებას, რუსეთის გლეხობის დახმარებით იგი აზიაში გაბატონებაზე ოცნებობდა.

ნაპოლეონმა გაამზადა ნახევარმილიონიანი არმია და დაიძრა რუსეთისაკენ, იმ განზრახვით, რომ პირველივე შეხვედრით დაამარცხებდა მას და ზეიმით შევიდოდა მოსკოვში.

— კიდევ სამი წელი — და მე მსოფლიოს მბრძანებელი ვიქნები, — თქვა ნაპოლეონმა მაშინ, როცა მისი „დიდი არმია“ გადადიოდა მდ. ნემანზე და უახლოვდებოდა ბოროდინოს ველს, „იმ ველს, სადაც ჩაესვენა მისი მზე, ოდესღაც ბრწყინვალე მზე აუსტერლიცისა“.

ბოროდინო

ბოროდინო მდებარეობს მოსკოვის დასავლეთით 90 კმ. მოშორებით. იგი პატარა სოფელია, მხოლოდ 32 კომლს აერთიანებს. ახლა მთელი სოფელი გაერთიანებულია კოლმეურნეობაში. სოფელს აქვს თავისი ბიბლიოთეკა, სკოლა და 55 საწოლიანი საავადმყოფო. ეს სოფელი მცირე ნაწილაკია იმ მშვენიერი, ბედნიერი ქვეყნისა, რომელიც გადაჭიმულია რუსეთის მიწაწყალზე. სწორედ ამ პატარა სოფლის მიდამოებში 125 წლის წინათ ერთმანეთს ეკვეთნენ ნაპოლეონისა და რუსეთის ჯარები.

ბოროდინოს ველზე ნაპოლეონმა მხოლოდ 130.000 კაცი მიიყვანა. მისი არმია სწრაფად დნებოდა, ეს აღარ იყო ის არმია, რომელმაც ნაპოლეონს სახელგანთქმული სარდლის სახელი მიანიჭა. ეს იყო ნაკრები ჯარი, ფრანგების მიერ ბრძოლის ველზე იძულებით გამოყვანილი პრუსიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. მათთვის უცხო იყო ნაპოლეონის პირველი ომების ტრადიციები, მათ არ აღფრთოვანებდა ნაპოლეონის ომი რუსეთის წინააღმდეგ. ან და განა შეეძლოთ ესპანელ ჯარისკაცებს ენთუზიაზმით ებრძოლათ ნაპოლეონის სახელისათვის იმ დროს, როდესაც მათი მთავარსარდლის ნაპოლეონის მეორე არმია მათ სამშობლოს აოხრებდა? გაპარვა, ღალატი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ნაპოლეონის არმიაში.

1812 წლის 5, 6 და 7 სექტემბერს ნაპოლეონის 130.000-იანი არმია და რუსის 120.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, გენერალ კუტუზოვის მეთაურობით, პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ბოროდინოს ველზე. დახოცილ ჯარისკაცთა მთები, აღემართა, ქვემეხებს უჭირდათ ყუმბარების აცილება დახოცილ ჯარისკაცთა გვამებზე. ბოროდინოს ველი წითლად შეღებილ მიწიერ მზეს ჰგავდა, მაგრამ... გამარჯვება არცერთის მხარეზე არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რიცხვობრივად ნაპოლეონის ჯარი მეტი იყო რუსის ჯარზე, ნაპოლეონი მაინც ვერ ახერხებდა ფრონტის გარღვევას. შეტევაზე გადასულ ნაპოლეონის ჯარს რუსეთის ჯარის რკინისებური წინააღმდეგობა ხვდებოდა.

რუსეთის ჯარების თავგანწირულმა წინააღმდეგობამ გააოცა ნაპოლეონი. მან საკუთარი თვალით ნახა არმია, რომელშიც მძაფრად გაიღვიძა საკუთარი ტერიტორიის დაცვის სურვილმა, ნახა არმია, რომელიც თავგამოდებით იცავდა თავის სამშობლოს მკაცრი და ხარბი მტრისაგან.

რუსეთის ხალხი დამპყრობელობის წინააღმდეგ

რუსეთის ჯარმა ბოროდინოზე ტაქტიკური მოსაზრებით უკან დაიხია. ნაპოლეონის ჯარს საშუალება მიეცა მოსკოვში შესულიყო... მაგრამ მოსკოვი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ცეცხლის ენები კრემლსაც კი უტევდნენ. ცნობილი ფრანგი მწერალი სტენდალი, რომელიც ნაპოლეონის ჯარს მოჰყვა მოსკოვში, მოგვითხრობს: ქალაქში ავარდნილი ცეცხლის ალი ცამდე აწვდილ გიგანტურ პირამიდებს ჰგავდა, ღამე განათებული იყო ისე, როგორც დღეო.

საწყობები დაცარიელებული იყო, ჯარს სანოვაგე და ტანსაცმელი ესაჭიროებოდა, მოსკოვში კი არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვებოდა. გლეხობისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმები თავს ესხმოდენ უცხო ჯარისკაცებს, ხოცავდნენ, ტყვედ მიჰყავდათ.

იმპერატორს დაემსხვრა მიზნები... მიხვდა, რომ ბრძოლა წაგებულია, „დიდი არმია“ განადგურებულია, და გასცა ბრძანება უკან დაბრუნების შესახებ.

ნაპოლეონ 1-ლი

ნაპოლეონის ჯარმა მხოლოდ ერთი თვე დაჰყო მოსკოვში.

რუსეთის არმიის ეს გმირული ბრძოლა დიდხანს არ დავიწყებია ნაპოლეონს. მას მწარე მოგონებად დარჩა ბოროდინოს ბრძოლები. „ჩემი ბრძოლებიდან, — ამბობდა ნაპოლეონი, — ყველაზე საშინელია ის, რომელიც მოსკოვთან გადავიხადე. ფრანგებმა ამ ბრძოლაში გვიჩვენეს, რომ ღირსნი იყვნენ გამარჯვებისა, ხოლო რუსებმა მოიპოვეს უფლება უძლეველნი ყოფილიყვნენ“. და მართლაც, არსად, არასოდეს ნაპოლეონი არ შეხვედრია ისეთ ერთსულოვან და გადამწყვეტ წინააღმდეგობას, როგორც რუსეთში.

რუსეთის გლეხობა მალე დარწმუნდა, რომ ნაპოლეონი არ იყო მათი მხსნელი, გამათავისუფლებლის ნაცვლად გლეხობამ ნაპოლეონში დამპყრობელის ბასრი ხიშტი დაინახა, ამიტომ ფეხზე დადგნენ, ბრძოლის ყიჟინამ შეიპყრო ისინი. ნაპოლეონის ცეცხლსა და მახვილს რუსეთის ხალხმა ბოროდინოს მრისხანე ბრძოლითა და პარტიზანული რაზმების გააფთრებული იერიშებით უპასუხა.

გენერალი კუტუზოვი

მთელი ხალხის შეუპოვარი წინააღმდეგობით დამფრთხალი „დიდი არმია“ გარბოდა უკან... ევრო-

პისაკენ... თვით ნაპოლეონმა მიატოვა თავისი არმია და კარეტით გაიქცა, რომ გადაერჩინა თავი დონის კაზაკებისაგან.

რუსეთის პირქუში ზამთარიც მუსრს ავლებდა ნაპოლეონის ჯარისკაცებს. ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცები კი, მშიერ-ტიტველნი, ტყვედ მიჰყავდათ შეიარაღებულ გლეხთა პარტიზანულ რაზმებს. ნაპოლეონის ნახევარმილიონიანი არმიიდან სამშობლოში მხოლოდ 30.000 ჯარისკაცი დაბრუნდა.

ასე გაუმასპინძლდა 125 წლის წინათ რუსეთის ხალხი სამშობლოს მტრებს, ყველაზე ძლიერ არმიას მსოფლიოში, და ეს მაშინ, როდესაც რუსეთში გაბატონებული კლასების მიერ გამეფებული ყრუ ჩაგვრა-მონობა მშრომელი ხალხისა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ხალხმა მაინც შესძლო თავისი სამშობლო დაეცვა უცხო დამპყრობელისაგან... და თუ 125 წლის წინათ ექსპლოატაციის ბორკილებში მყოფი რუსეთის ხალხი სასტიკ პასუხს აძლევდა დამპყრობლებს, მით უფრო მედგრად დაიცავს ახლა თითოეული საბჭოთა მოქალაქე თავის საყვარელ, ბედნიერ სოციალისტურ სამშობლოს.

დ. თურდოსპირელი

თემოს სიზმარი

თემოს ძლიერ ბევრი სათამაშო აქვს. მათ შორის პატარა თვითმფრინავიც. განსაკუთრებით უყვარს მას ეს თვითმფრინავი. თემო მუდამ ოცნებობს ფრენოსნობაზე, სურს მფრინავი გახდეს, ისეთივე ცნობილი და საამაყო მფრინავი, როგორებიც ჩკალოვი, ლევანევსკი, ვოდოპიანოვი და სხვები არიან.

თემო მგზნებარე ოცნებით თვალს ადევნებს საბჭოთა შევარდნების ლეგენდარულ გადაფრენას...ის ხშირად დაიარება აეროდრომის მიდამოებში და უთვალთვალებს თვითმფრინავს... გატაცებული მოთაყვანეა გმირი მფრინავების, ზედმიწევნით იცის მათი ბიოგრაფიები.

ის გატაცებით კითხულობს საფრენოსნო ლიტერატურას. მას წაკითხული აქვს ბაიდუკოვის დღიურები, ჩკალოვის და სხვების წერილები. ის ნატრულობს მათსავით შეეძლოს ფრენა ცის სივრცეში...ოცნებობს „ფოლადის არწივით“ იფრინოს ხმელეთზე, ზღვებზე, პოლუსებზე და ვინ იცის კიდევ სად.

ოცნებით დაღლილ თემოს ტკბილად მიეძინა. თემო მალე ფერადი სიზმრების ტალღებში შეცურდა. ხედავს: მისი თვითმფრინავი თითქოს გაზრდილა. ის უკვე სათამაშო კი არა, ფოლადის დიდი არწივია...თვითონ კი ნაცადი პილოტი...სწორედ ახლა ესაჭიროება სოციალიზმის ქვეყანას მამაცი მფრინავები. ჰოდა თემოც მზად არის...

მას სურს გაფრენა ძირსდაუშვებლად დედამიწის ირგვლივ.

მაგრამ ნებართვა ხომ უნდა აიღოს მთავრობისაგან? და თემო მიჰქრის მოსკოვისაკენ. აი იგი უკვე კრემლშია...რა საშინლად ღელავს! როგორ უდაგდაგებს გული...არც საკვირველია ეს ღელვა...მაგრამ მაინც არ ივარგებს მღელვარება ..გენიოსი ბელადი იტყვის: მშიშარა ყოფილა...ღელვა ვერ დაუძლევია...დედამიწის ირგვლივ ფრენა როგორ შესძლებსო...ამიტომ თემო ძალას ატანს თავის თავს, რომ დამშვიდდეს. აგერ ისიც გამოჩნდა...სტალინი...

მოდის სწორედ ისეთი მოსიყვარულე, როგორიც წარმოდგენილი ჰყავდა თემოს. სტალინი ხელს ართმევს მას და უცინის...უცინის ისე, როგორც მხოლოდ სტალინს შეუძლია. სტალინმა უკვე იცის, რომ თემო გადაფრენას აპირებს, მაგრამ სად?

თემო წარბშეუხრელად აცნობს ბელადს განზრახულ გადაფრენის მარშრუტს. სტალინი უწონებს თემოს გამბედაობას, სიმამაცეს და ნებას რთავს გაფრენაზე, მხოლოდ ურჩევს თავს გაუფრთხილდეს, რადგან ადამიანი ყველაფერზე ძვირად ფასობს ჩვენს ქვეყანაში.

რა ბედნიერია თემო!

მიფრინავს თემო...თვალები მიმინოსავით მახვილი აქვს და უშიშრად მიჰქრის...სივრცეებს სერავს...

ცუდი ტაროსი დაიჭირა...თვითმფრინავი ნისლში მოექცა ..მაგრამ ეს არ აშინებს...გზას იკვლევს და ნისლებს მაღლა ექცევა...ასე იცის მარჯვე მფრინავმა...თემოს თვითმფრინავიდან რადიო ძუნწი, მოკვეთილი ფრაზებით ხანდაზმით იტყობინება ფრენის შესახებ...მისმა თვითმფრინავმა გადასერა შორეული აღმოსავლეთი, ამერიკა, დიდი ოკეანე, აგერ ბებერი ევროპაც... ესპანეთი. თემო მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკური ესპანეთის მშრომელებს. აგერ გერმანიაც... არამზადა ფაშისტებს ბუდე... აი საყვარელი სამშობლოც—საბჭოთა ქვეყანა, აგერ მოსკოვი—წითელი დედაქალაქი...

და დასრულდა გადაფრენა.

ელვის სისწრაფით დაირხა ხმები დედამიწის გარშემო ძირსდაუშვებელი გადაფრენის წარმატებით დასრულების შესახებ. კორესპონდენტები ეხვევიან თემოს, აძლევენ ათასგვარ კითხვას გადაფრენის შესახებ. თემო მოკლედ პასუხობს მათ: „ლენინი და სტალინი ციმბირის ყინვებში იმისთვის აჩხარუნებდნენ ბორკილებს, რომ ჩვენ ბედნიერად გვეცხოვრა...მუშები სახრჩობელაზე იმისათვის იხოცებოდნენ, რომ ბედნიერი ახალგაზრდების საამური სიმღერები ახმატკბილებულიყო... ქვეყნად არ არის იმაზე უმაღლესი ბედნიერება, რომ იცხოვრო სოციალიზმის ქვეყანაში, იქ, სადაც დიადი სტალინის ფიქრი და ნება ადამიანთა გულებს ათბობს და ანათებს ენთუზიაზმით...უზრდის ქვეყანას მამაცს და გამბედავ შვილებს“. თემოც ხომ ახლა საბჭოთა კავშირის გმირია...ის უჩვეულო სიხარულს განიცდის. ბედნიერია, ბედნიერი...

*
* *

—შვილო თემო, გაიღვიძე, დედა გენაცვალოს, სკოლაში არ დაგაგვიანდეს, —აღვიძებს დედა თავის ბიჭიკოს...

—დამიგვიანდეს? სადა?

—სკოლაში, შვილიკო!

—მაშ, ეს სიზმარი იყო, მხოლოდ სიზმარი?

ლამის აქვითინდეს თემო...ლამის...მაგრამ დედა ამშვიდებს.

—არა უშავს რა... უფრო ბეჯითად განაგრძე მეცადინეობა და შეგისრულდება მიზანი...კარგი მფრინავი რომ გამოხვიდე, ბევრი უნდა იცოდე, —არიგებს დედა.

დამშვიდებული თემო სწრაფად წამოხტა ლოგინიდან, ჩაიცვა, დაიბანა პირი და გაიქცა სკოლისაკენ. სკოლაში ამხანაგებს უამბო ნახული სიზმარი და თან დასძინა:

—ვეცდები, ეს სიზმარი სინამდვილედ ვაქციო, როდესაც გავიზრდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტორქა

ცხელ ქვეყნებში მცხოვრებ ცხოველთა სამეფოს ეკუთვნის უზარმაზარი, გოლიათი ცხოველი, რომელსაც მარტორქა ეწოდება. ამ ცხოველს მარტორქას იმიტომ უწოდებენ, რომ ცხვირის მიდამოებში ამოზიდული აქვს საკმაოდ მსხვილი რქა, რაც ამ უკანასკნელისათვის თავდაცვის იარაღს წარმოადგენს. აზიის მარტორქები ჩვეულებრივ ერთი რქით არიან შეიარაღებულნი, აფრიკაში კი მათ ორი ამოწვდილი რქა აქვთ. სიდიდით ეს ცხოველები სპილოს მოგვაგონებენ და წარმოუდგენლად მახინჯი თავი აქვთ.

იშვიათია ისეთი ზანტი, მოწყენილი და უმოქმედო ცხოველი, როგორც მარტორქაა. ეს ცხოველი მთელი დღე უძრავად დგას ხის ჩრდილში, ან უზრუნველად გორაობს ჭაობში. განმარტოებული ცხოვრება უყვარს, მარტო დაეხეტება და ყველაფერს განურჩეველი გულგრილობით ეპყრობა.

მას მხოლოდ ერთი ფრინველი, ე. წ. ხარნისკარტა, მეგობრობს, მზრუნველად და გაფაციცებით თავს დასტრიალებს და თავიდან აცლის ბუზანკალებს. ზოგიერთ ბუნებისმეტყველს თუ დავუჯერებთ, საფრთხის შემთხვევაში ხარნისკარტა ყურებზე სცემს ნისკარტს მარტორქას და ამით თითქოს მოუწოდებს მეგობარს თავდაცვისაკენ.

მარტორქა ძირითადად ბალახით იკვებება. ის არ ეკუთვნის მტაცებელ ცხოველთა ოჯახს, მას კბილებიც კი არ გააჩნია, რომ რისიმე გაგლეჯა შეეძლოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავდაცვას იშვიათი სიმარჯვით აწარმოებს. მის წინაშე უძლური არიან ისეთი ცხოველები, როგორიცაა სპილო, ლომი და ვეფხი.

მარტორქას აკლია გონიერება და წინდახედულება. ის ფიცხი ცხოველია, სულ უბრალო რამეს ადვილად გამოყავს წონასწორობიდან, აანჩხლებს, აბოროტებს და უმნიშვნელო გარემოებავე ამშვიდებს და უწყინრად ხდის.

მარტორქაზე საოცრად მოქმედობს ქრთამი. მოშინაურებულ მარტორქას, როგორადაც არ უნდა იყოს გაჯავრებული, ერთი ნაჭერი პურით სათნო, მშვიდ არსებად გარდაქმნით. ხასიათის ასეთი ცვალებადობა მისი ერთადერთი სუსტი მხარეა, რაც ხშირად მისი ტყვედჩავარდნის, ან [illegible] შიზეზი ხდება.

მარტორქა ყოველთვის შეგნებულად გაურბის სპილოს, მხოლოდ ზოგჯერ შიშისაგან რეტდასხმული იძულებულია შეებას მას. ასეთ შემთხვევაში შედარებით კარგად შეიარაღებული, ღონიერი მარტორქა სძლევს მოწინააღმდეგეს.

მარტორქა მეტად უხეშია სიარულშიც. თვალში სუსტად იხედება, ანგარიშმიუცემლად მიაბოტებს და გზაზე რაც შეხვდება, სულ ერთიანად ამტვრევს და ლეწავს. ტყეში, სადაც ის გაივლის, ყველაფერი ულმობლად ისპობა და ჩანაგდება. ის ზოგჯერ ყანებშიც ახერხებს შეპარვას და ჭირნახულის განიავებას.

ადამიანები მარტორქაზე ნადირობენ. მისი ხორცი, ტყავი, რქა და თვით სისხლიც გამოსადეგია.

ვლ. კახიანი

ხარტული სიტყვები

იუდას ამბორი — ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ქრისტეს 12 მოწაფე ჰყავდა. ამ თორმეტთაგან მხოლოდ იუდამ უღალატა ქრისტეს. იუდა წინასწარ შეუთანხმდა რომის ჯარისკაცების უფროსს, რომელიც ქრისტეს დასდევდა დასაჭერად. შეთანხმება ასეთი იყო: იუდა მივიდოდა იმ ჯგუფში, სადაც ქრისტე ერია, და აკოცებდა მას. ეს იქნებოდა ნიშანი ქრისტეს გამოსაცნობად. მართლაც, იუდამ აკოცა ქრისტეს და ამით გასცა იგი. ქრისტე შეიპყრეს. ამის შემდეგ იუდა გადაიქცა გამცემისა და მოღალატის საზოგადო სახელად. იუდას ამბორიც ამისი აღმნიშვნელია.

რომის პაპი—პაპი კათოლიკური ეკლესიის უფროსია. ცხოვრობს რომში და ამიტომ ჰქვია რომის პაპი. კათოლიკების რწმენით, პაპი უცოდველია და უმცდარი. გადატანითი მნიშვნელობით რომის პაპს ისეთ ადამიანს ეძახიან, რომელიც ფიქრობს, თითქოს უმცდარია და მართალი ყოველთვის.

ჩინური კედელი — გადატანითი მნიშვნელობით მეზობლისა ან რაიმე მოვლენისაგან გამიჯვნასა და გათიშვას ნიშნავს. გამოთქმა წარმოიშვა ასე: 2300 წლის წინათ მონღოლები დაეცნენ ჩინეთს და დაიპყრეს. შემდგომი თავდასხმებისაგან უზრუნველსაყოფად ჩინელებმა თავის ქვეყანას 4.000 კილომეტრის სიგრძე კედელი შემოავლეს ჩრდილოეთ საზღვარზე.

პარნასი—პარნასი ეწოდებოდა ერთ მთას საბერძნეთში. ძველი ბერძნების რწმენით, ამ მთაზე ცხოვრობდნენ ხელოვნების ღმერთები, აპოლონი და ცხრა მუზა. გადატანითი მნიშვნელობით პარნასი ნიშნავს პოეზიას, ხელოვნებას.

ფერია — ძველი რომაელების აზრით, ტყესა და ველმინდვრებს ჰყავდათ თავიანთი კეთილი სულები, რომელთაც ფერიებს ეძახდნენ. ფერიები რომაელებს წარმოდგენილი ჰყავდათ ლამაზი ქალების სახით.

როდიონ ძოწაძია.

შენიშვნა: ზემომოყვანილი სხარტული სიტყვების აზსნა-განმარტება რედაქციას მოსთხოვა ჩვენი ჟურნალის მკითხველმა **ვასილ ბაიაძემ**. მკითხველებს კვლავ შეუძლიათ გამოგზავნონ განსამარტავად მათთვის გაუგებარი სხარტული სიტყვები.

რედაქცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი ელ. აგლაძე

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ

მთავლიტი 10530 შეკვ. 772 ტირაჟი 8.200 ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასრი თვალი



1. მოეხმარეთ გუშაგს

ასი წლის წინათ ექვსი სახლის მდგმურებმა დაიქირავეს ერთი კაცი სახლების სადარაჯოდ. მაგრამ აი უბედურება: დარაჯი რომ ექვსივე სახლთან მივიდეს, აუცილებლად ათი ქუჩა უნდა გაიაროს.

დიდხანს იფიქრა დარაჯმა, თუ როგორ შემოევლო ეს ქუჩები ისე, რომ ერთსა და იმავე ქუჩაზე ორჯერ არ გაევლო, მაგრამ ვერ გამონახა ასეთი გზა და დღემდის დგას ასე დაფიქრებული. დაეხმარეთ და აჩვენეთ ეს გზა.

2. ათი სკამი



ოთახში ათი სკამია. ეს სკამები ისე უნდა დალაგდეს, რომ ყოველ კედელთან სკამების თანასწორი რიცხვი იყოს.



3. თავსატეხი

ისე შემოხაზეთ ეს ფიგურა, რომ ფანქარი არ მოაშოროთ ქაღალდს და ერთ ხაზზე ორჯერ არ გაატაროთ.



4. ცადეთ

დააწყვეთ 15 ასანთის ღერი ისე, რომ გამოვიდეს ისეთი ფიგურა, როგორიც ამ ნახატზეა. დააწყვეთ? მაშ ახლა ორი ღერი გადასვით იმგვარად, რომ მიიღოთ ხუთი კვადრატი.